

ნ.ბ. პ. ლომუხი



— კი ხარ მთავარანგელოზი, მაგრამ რა იცი, რას გაფორმებენ.
კან ეს რევიზორები?!. მიეცი ფული და მოიშორე თავიდან!

ნიუნუნუნ

რედაქციის უბიძგამ ჩვერ-
ნების საავადმყოფოში ერთ-ერთი ურთულესი
ოპერაცია დაიწყო.

ამ დროს...

ახალდაბურ სავარძელში გემოზე მოკალათე-
ბულ მამალმეროს ფეხები ასევე ახალდაბურ
ტაბურეტზე დაედო და ფერად ტელევიზორ
„ელექტრონ-760“-ში თბილისის სპორტის სახა-
ლიდან კალათბურთის მატჩის რეპორტაჟს უყუ-
რებდა.

თბილისის „დინამო“ ცხკა-ს ეთამაშებოდა.

— რა ანგარიშია? — იკითხა ახლახან მოხულმა
თომამ.

— „დინამო“ თქვესმეტი ქულით უგებს! —
დამილით თქვა ღმერთმა და ზუგდიდში დამზა-
დებული კაქლის ხის მაგიდიდან სოხუმში გა-
მოშვებული „კოსმოსის“ ღერი აიღო და თბი-
ლისური სანთებელათი მოუკიდა.

— უფალო! — შეჰკადრა თომამ, — ცხკა-ს
მიმდინარე სეზონში თამაში არ წაუგია!

— თომა! — იწყინა ღმერთმა, — შენ მუდამ
ურწმუნო იყავი და ასევე ურწმუნოდ დარჩი!
ის იყო, ღერიუგინმა მომდევნო ორი ქულა
შესძინა გუნდს, რომ დაფეთებული მთავარანგე-
ლოში მოვარდა.

— უფალო! — შეჰყვირა მან, — აღამიანებს
ისევ დაუწყიათ გოდოლის აგება!

— გოდოლის?! — იკითხა გაოცებულმა ღმე-
რთმა და სულ ოდნავ მოაბრუნა თავი, რადგან
ამ დროს გრძელიძეს საჯარიმო ტყორცა უნდა
შეესრულებინა, — ოჰჰ!.. ესეც ასე! ყოჩაღ!
კი მაგრამ, სად? ნუთუ, ისევ სენარის დაბ-
ლოზე, ბაბილონში?

— არა, უფალო, ამჟერად — წაღენჯინის
რაიონში, დაბა ჭვარში, შახსანიის ხეობაში!
მართალია, ისინი „მალღივ კაშხალს“ ეძახიან.
მაგრამ მისი სიმაღლე მალე ამოწვდება ცახ.
იქაური გაზეთის „ენგურის ჩირაღდნის“ ნომერი
ჩამივარდა ხელთ: მ მილიონი კუმბეტრი ბეტონი
ჩაუსხამთ უკვე, წარმოგიდგენიათ?

— შეხედე, საიდან ვერ ჩააგდო?! — აღშო-
თდა ღმერთი, — ახლა, ეგ მატჩი რომ წააგონ,
ისევ მე დამიწყებენ გინებას!.. ხო, მაშ, შენ
ამბობ, მალე ამოაღწევს აქამდე ის გოდო-
ლი თუ კაშხალი? როგორაა, რომ უწოდებ?
ამოაღწევს და ამოაღწიოს! მაგათ თუ ჰგო-
ნიათ, რომ მე აქ ნავთობის საბადოები მაქვს
გაღანახული, მაგასაც ნახავენ! ამოვიდნენ, ბა-
ტონო!

— მაგრამ, ღმერთო, იმ კაშხალს იმხელა ზღვა
დაუგუბებია, რომ დაინგრეს, ერთიანად წაღეკავს
თქვენი დიდი შრომითა და რუდუნებით შექმნილ
დედამიწას!.. ის წარღვნა მონაგონი იქნება!..
ძებორციელი არ დარჩება ცოცხალი!..

ახლა კი შეფიქრიანდა ღმერთი: მას, მოსკო-
ვის ოლიმპიური თამაშების შემდეგ, აღამიანები
გამორჩეულად უყვარდა და მათი დაღუპვა არა-
ფრთ არ უნდოდა.



ჩეპორბაქი ცაქი

— ახლავე სხვადასხვა ენაზე ალაპარაკეთ
მშენებლები! — გაიხსენა ძველი ხერხი ღმერ-
თმა.

ბრძანების შესასრულებლად თვითონ მთავარ-
ანგელოზი გავარდა, მაგრამ მყის უკან მობრუნ-
და და დაღვრემილმა მოახსენა:

— ისინი ისედაც სხვადასხვა ენაზე ლაპარა-
კობენ, უფალო! ოცდათქვესმეტი ერისა და
ეროვნების წარმომადგენელი ისე შეხმატკბილე-
ბულად მუშაობს, ერთი დედის მუცლიდან ნა-
შობი გეგონება! როგორც დავაზუსტეთ, ისინი
გოდოლს კი არა, მართლაც ჰიდროელექტროსად-
გურს აშენებენ, მაგრამ იმისიმაღლე კაშხალის
აშენება და იმხელა ზღვის დაგუბება ხიფათს არ
გამორიცხავს, უფალო!

„მართლაცადა, რომ დაინგრეს?!“ — გაიფიქრა
ღმერთმა და ფარული მწერა ტყორცა თო-
მას, — „ადრე მე დამრჩა სანანებლად ჩემი ნა-
მოქმედარი, ახლა, მგონი, მაგათ დარჩებთ!“

— ჩემო კეთილო ნოე, ისევ უნდა ააგო კი-
დობანი! — მცირე ყოყმანის შემდეგ ხმადაბლა
დაატანა: — ოღონდ, ამჟერად, სამსართულიანი
კი არა... ხომ იცი, ახლა ცხრასართულიანზე
ნაკლებს არავინ აშენებს!

მერე გაახსენდა, რომ ნოე ახლა 2600 წლისა
იყო და ურჩია:

— თუ გაგიჭირდეს, სამოქალაქო მშენებლო-
ბის სამმართველოს უფროსთან მიდი, ომიანიძეს-
თან, აუცილებლად დაგებმარება!.. ჰო, კიდევ,
კიდობანში შენი ცოლებსა და შთამომავლობის
გარდა, თითო წყვილ ოთხფეხთა, ქვეწარმავალთა
და ფრინველთა შეყვანაც არ დაგავიწყდეს!

სახელდახელო თათბირი ტაიმებს შორის შეს-
ვენებას დაემთხვა და გულშიც კი არავის უაუზ-
ღუნია (ხმამალა, აბა, რას გაბედავდნენ?!). გა-
დაწყდა: ანგელოზთა სპეციალურმა კრებულმა
ეგზავნათ ჭვარში, ენგურბესის მშენებლობაზე,
მშენებელთა შესახებ დაწვარადნით ცნობების
გასაგებადა.

ნ წუთის შემდეგ (ზეცის დროით, ცხადია)
მთავარანგელოზმა მამალმეროს პირველი ცნობა
მიაწვრა:

— მთლიანი მშენებლობის უფროსი მიხელო
ციხკარიშვილი ყოფილა, უფალო, გოდოლისა კი,
ესე იგი, კაშხალისა — ნოდარ შარტავა!..

აქ ღმერთმა ხელით გააწყვეტინს მთავარანგე-
ლოზს პატაკი და ყველამ დაინახა, იმედის რა-
გორმა ნაპირწყლებმა გაილევს უფლის თვა-
ლებში.

— ეშ! თქვენ რა გითხრათ მე! — თქვა სა-
ხეგაბადრულმა, — თავიდანვე გეთქვათ ასე!
მაგათ აშენებულ კაშხალს რა დაანგრევს! ტყუი-
ლად გამანერვიულეთ ამ ხნის ღმერთი!.. შვილი-
შვილის დაბადება თუ მიულოცეთ შარტავას? —
მერე ჩიბიდან ვალიდოლის ფლაკონი ამოიღო,
მაგრამ ცარიელი აღმოჩნდა და ერთ-ერთ ანგე-
ლოზს მიუბრუნდა: — გაქანდი ერთი ჭვარუნის
აფთიაქში! მე ვერ გავაჩენ, იქ რომ აჩენენ
იმას!

კომისიის წევრმა ანგელოზებმა კი თავი იმარ-
თლეს: უფალო, აბა, ჩვენ რა ვიცოდით, ასეთ
ახალგაზრდა კაცს შვილიშვილი თუ ჰყავდა, ღმე-
რთი ხომ არ ვართო?!
ამ კომპლემენტით ნასიამოვნებმა ღმერთმა
ტელევიზორის ჩართვა ბრძანა. კოტე მასარაძე
უკვე მეორე ტაიმს გადმოსცემდა.

ღმერთს, ცხადია, არ დავიწყებია თავისი საყ-
ვარელი ნოე და ახლომჭლომ ანგელოზს მიმართა:


— ერთი გადასძახე, ნუღარ აშენებ კიდობანს,
არ არის საჭირო-თქო!.. თუმცა, არა!.. ააშენოს
და, ენგურბესის მშენებლობა რომ დამთავრდე-
ბა, შიგ წყალსაცავში ჩავდგათ: დიდებული და-
სახვენებელი ადგილი იქნება!

კალათბურთის შემდეგ ტელევიზორში სატე-
ლევიზოო დოკუმენტური ფილმი „ინჟინერები“
დაიწყო. ღმერთს ეგ ფილმი თენგივ აბულა-
ძის „ნატკრის ხეზე“ და რევაზ ჩხეიძის „რაი-
კომის მდივანზე“ ნაკლებ არ მოსწონდა, ტელე-
ვიზორი დიდ სააქტო დარბაზში გაატანეს და
იქ ყველამ ერთად უყურა!..

... ორი საათის შემდეგ კი (ამჟერად — დელა-
მიწის დროით) ჭვარუნის საავადმყოფოში წარ-
მატებით დამთავრდა ის რთული ოპერაცია, ამ
ამბის დასაწყისში რომ ვახსენეთ დროის სიწუს-
ტისათვის.

მურად ჰანტურია

ნ.ბ. მ. აბაშიძისა



— აღარ შემიძლია ამ უსაქმურის ცქერა!
— ცოტაც მოითმინე და გააგონის მოგვაპო-
რებს — ჩვენ დაგვანინაურებს!



— ზედ სხვა ფასი ანერია, შენ სხვას აგოვ!
როგაღია მართალი?
— ჩემი ნათქვამისა თუ არ გჯერა, გიძია, დადე
ისევ დასლზე!

თუ შვილები არ ამრავლა!..

აკაკი ბელოვანი

თუ შვილები არ ამრავლე,
დაგვეცევა
ოდა-სახლი, კაცო
მაღალჭერიანო!
თუ ყოველდღე არ იტყვი
„მთიულური“,
მოგპარავენ! ვინმე იტყვის,
ჩემიო!

მუქთასორას

საქმოსანო უსაქმურო,
ნუ გადიხარ თავს!
ნუ უყურებ მუშტრის თვალით
ჩემს ხორცსა და ტყავს!



ჩვენ მაინც მშვიდად ვმუშაობთ,
ლოდებს ვალაგებთ ლოდებზე
და იმედი გვაქვს, გუმბათზე
ჩვენც ავმაღლდებით ოდესმე!

მინანარი ერთ რეცენზიაზე

მაგ ფუჭი განქიქებითა
ქალაღდი რომ არ დასერო,
ჩემს დამარცხებას რა უნდა? —
რომ უკეთესად დანერო!



კული

— გამგის კულია, უფროსს
დასდევს,
არ უნდა ფიცი!
ნუთუ არ გიკვირს, რად
დაღუშდა

ხომ ხედავ, რომ შენი ხატრით
ვერ მოვიკლავ თავს!

ზომჯვარ...

„მილიციაა?! გვიშველეთ!
ქურდი დაგვესხა თავს!“
„ხვალ დაგვირეკეთ, ბატონო,
დღეს აქ თათბირი გვაქვს!“

შემოქმედანი და მოლიზდარი

გუმბათზე ამაღლებულან:
ავაშენეთო, ყვირიან!
არ დაუდგიათ ერთი ქვაც,
რომ შკითხოთ, ყველა გშირია!

მუზების გუნდი?
— რას მეკითხები, მეგობარო,
მე ეს არ ვიცი,
უფრო ის მიკვირს, ადამიანს
რად უნდა კული?

სპილოს ძვლის ავეჯი
ერთი საშროსნის ოჯახში

ვაი, რა ბედი შქონია
ამ სპილოს —
ჯუნგლის მთვარესა,
რომ უქცევიათ სავარძლად,
რათა ზედ ტახტი დაესვათ!



დანაშაულის გამართლება

ერთ მოსამართლეს ვუთხარი:
— „ქურდებს რად არ სჯი
სასტიკად?“
— „თვითონ მე რომ არ
გამქურდონ! —
არის ასეთი პრაქტიკაც!“

ანონიმური ბატი!

— ანონიმების ოსტატი ჭოტი
როდის მორჩება სიცრუის
ცხობას?!
— ჭოტი კი არა, ბატია, შვილო!
ჭოტს რად აყენებ
შეურაცხყოფას?!

ერთ სარდავში

შენ მირჩევ: — ნუ სვამ,
მეუბნები,
განყენს ეგ ღვინო!
არ გაგისხენოს სატიკვარმა,
ვშიშობ ძალიან!..



მე და მოქანდაკე

— „ჩემს ნიობებს რომ უყურებ,
გეცოდება?“ — თქვა.
— რა თქმა უნდა, — ვუპასუხე,
— მეცოდება... ქვა!

ბალობა სინანულისა

ღამით ვცოდავ, ვინანიებ
დღისით —
შენი ნივნის კითხვით!

— ნუ გეშინია, მეგობარო,
ღვინოს არა ვსვამ,
ღვინის კასრიდან ჩამოსხმული
მღვრიე წყალია!

ილუსტრაციები ჯ. ლომუასი

სასარგებლო რჩევები

- **სიგყვას** ქარს ნუ გაატან! — რა იცი, ვის მიუტანს და როგორ?!
- **ნუ** იტყვი, გემრიელი მეზობელი მყავსო, თორემ იფიქრებენ, რომ შენ მას ჭამ!
- **ხელს** თუ სინდისზე აიღებ, გულზე ნუ დაიდებ!
- **გაყვინს** პალტო საკუთარი გყავის ხარჯზე უნდა შეიძინო და არა — სხვისი გაყავებით!
- **არ** გირჩევ, იყო წუთისოფლის სტუმარი! — ვინ გიმასპინძლებს?!
- **ერთი** შეხედვით შეყვარებას თუ ქორწინება მოჰყვა, მეორე შეხედვა, შეიძლება, განქორწინებით დამთავრდეს!
- **ისა** მოზომილად ნუ ისწავლი, რომ ჩააბარო და არაფერი დაგჩვენს!
- **რომ** დაგიღია პირი და მღერი, თუ გამაჩინე, კიდევ მარჩინეო, არ უნდა თქვა, როდემდე?!
- **ნუ** ფიქრობ, უფროსი ჩემს მაგივრად ფიქრობსო! იფიქრე, რომ შენ უნდა ფიქრობდე უფროსის საფიქრალს!
- **თუ** ის გორიულზე აბარებდი და მეორე წელსაც ჩაიჭერი, ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ ისტორია მეორედება!

გიგლა გასტაკე

ნახ. ბ. ლომიძისა



— უპაცრავად, ეგ რომელი სადარბაზოა?
— არ ვიცი, ძალბატონო, ნომერი არ ანერია!

იმპორტული ტუფლი
სომ მიიღე დღესა?
მეც მივიღე ყველი,
შენც წილში ხარ, მეცა!

შემინახე ტუფლი,
შეგინახავ ყველსა!
ჩვენ ხომ ნოქრები ვართ?!
წესად გვქონდეს ესა!

მირიან ბაძრაძე

(ხელვაჩაურის რ-ნი სოფ.
სარფი)



უსიტყვოდ

— მე იმ საკითხის შესახებ განუხებთ!..
თუ არ შეიძლება, მითხარით, არ მენყი-
ნება!

— როგორ გეკადრებათ! რა ლაპარაკია?!
ოღონდ ახლა ძალიან დატვირთული ვარ,
ცოტა ხანს მაცალეთ და, აბა, უარს როგორ
გეტყვით?!

რამდენიმე დღის შემდეგ:

— მე ისევ იმ საკითხზე...

— მახსოვს, მახსოვს! რა ლაპარაკია?!
ოღონდ, ცოტა ხანს კიდევ მაცალეთ, ეს
ერთკვირეული ჩავატარო და, აბა, უარს
როგორ გეტყვით?!

ორი კვირის შემდეგ:

— მე იმ...

— აი, ხომ ხედავთ, ჩანერილიც მაქვს!
ექვთი არ შეგეპაროთ!.. ოღონდ, ცოტა ხან-
საც მაცალეთ, ეს ერთთვიური ჩავატარო
და, აბა, უარს როგორ გეტყვით?!

— მე...

— სულ, სულ ცოტა ხანი მაცალეთ! ამ
ერთნაღობსაც ჩავატარებ და!..

აკო

ნ.ბ. თოთიაშვილი



უსიტყვოდ

ფ რ ა ზ ე ბ ი

● **კინოს** ისტორია: მუნჯი, ხმოვანი და თანავეტორიანი.

● **რომელ** სასადილოში გინახავთ, მადა რომ ჭამაში მოდოდეს?!

● **ქიშქინდა** თავის რეპუტაციასაც კი ვერ ამოუყვანა ლაქა.

● **მალაზიის** დირექტორს შტატში, გამყიდველების ნაცვლად, დახლქვეშევრდომები ჰყავდა.

● **სუფრაზე** ყანწთა ყანწის ფინალი გათამაშდა.

● **თავი** ისე უნდა დაიჭირო, რომ დასაჭერი არ გახდეს!

● **ღირეპტორი** კოლექციონერი გამოდგა — კომპლიმენტებს აგროვებდა.

ანდრო კოკოლია

ხალხის ნებით და სურვილით

ვაზბილოთ, შანთით ამოვწვავთ (კმარა, გვეყოფა დუმბილი!) ვისაც დასწამდა ქურდობის, ხვეჭის, ლოთობის წყურვილი, გატაცებული მანქანის დახის მოთხოვნა უურმილით... სხვისი ძარცვა და გაუკლფვა ურცხვად და გამოჩინებით, გაბღენძვა, გადიდდაცება სკამით, მანქანით, ბინებით... (გულის მოფხანა არ კმარა ნაძირალების გინებით). პარაზის ნებას ნუ მივცემთ გადაგვარებულს, არაკაცს, თავისი ქცევით. მორალით ვინც ადამიანს არა ჰგავს; ვინც სიხსლს გვწოვს, როგორც წურბელა. გვაცლის ძალას და არაქათს, ვის ქვეყნის, ხალხის სახელი არ მიარჩნა ჩირადა. ვინც ჩვენს ცხოვრებას ატყვია მავნე სენად და ჭირადა, ვისაც უოველგვარ სიმდიდრედ სწამს მხოლოდ ფული, ქონება... (ახეთი ვაიკაცების ძნელი გამოსწორება!). ხალხის სიკეთეს შევწიროთ სინდისი, ნიჭი, გონება! ნეტავ რა არის ამ ქვეყნად ამაზედ დიდი ქონება? სულით მრუდედ და მახინჯი ერის პირველი მტერია, მტერს ერთად უნდა ვებრძოდეთ! (კანონში ასე სწერია). კმარა, გვეყოფა მოთმენა, იშედიანი დუმბილი, მხოლოდ ჩაქოლვა გარეწრებს — ხალხის ნებით და სურვილით!

ლიზიკო ზონძაძე

ლ ე ჭ ს ი კ ო ნ ი

მომხმარებელი — ვინც ერთდროულად ასრულებს საქონელმცოდნის, წუნმდებლის, ბუღალტრის, კონტროლიორისა და რევიზორის მოვალეობას.

პირფერი — ვინც პირში გეფერება და პირს უკან გაგინებს.

წყურუბა — დანაშაულისადმი მხარდაჭერის პასიური ფორმა.

თაღლითი — ვინც ჭერ აცურებს, მერე კი მშრალზე ტოვებს.


პარაზიტი — ადამიანისმაგვარი არსება, ცხოველისგან განსხვავებით, სხვისი სისხლითაც საზრდოობს და ოფლითაც.

ღრეობა — რაც ლოცვა-კურთხევით იწყება და ლანძღვა-გინებით მთავრდება.

კარიერისტი — ვინც უფროსებთან იბადრება და ხელქვეითებთან იბღვირება.

ალმანაშორ თაყაძე

ნ.ბ. რ. ქარაქაშაშვილისა



როცა ლიფტი არ მუშაობს!..

ბარათი ნიანგს

ჩვენ, გურჯაანის რაიონის სოფელ ქობა-
ლოს მკვიდრებს, უტყვ და კირკიტა ხალხს გვეძახი-
ან, და იცით, რატომ? — აიყარეთ, ბარად ჩადიეთ,
რომ გვიჩინებდნენ და ჩვენი მცხოვრები ტერმე-
ლები და ზიარელებიც კი გატყდნენ, ჩვენ ადგილი-
დან ძვრა ვერ გვიყვება; ახლა კი, როცა საქმე გას-
წორდა და მათ უკან, მთაში დაბრუნებას ურჩევნ-
ლამის არის, ავიყაროთ და დედაბუდიანად ბარში
ჩამოვსახლდეთ!

რატომ? იკითხა! ადრე, ცდუნებას რომ არ აუ-
ყვით, ამაში სანახევროდ ტელევიზორმა გვიშველა.
მერე კი, სოფელი ზიარი რომ აიყარა, გამაძლიერე-
ბელი ანძა, რომელიც იქ იდგა, მოხსნეს და ზიარე-
ლების გზას გაუყვეს. დაერჩით უტელევიზოროდ.
მეურნეობის მუშებისა და ხელმძღვანელების მრ-
ვალჯერადი თხოვნა არავინ უურად არ იყო!..

ამას ნინათ, თბილისში, მეგობრის ოჯახში ვუყუ-
რებდი. ფეხბურთის ტელევიზორტაუს დროებით
დენი გამოირთო და ჩემი მახინძელი დასაბმულს
დაემსგავსა. დიას, ათ წუთს ვერ გაძლო უტელევი-
ზოროდ! ჩვენ კი ათი წელია, მაგრად ვდგავართ!
მამ, არა ვართ კირკიტა და უტყვი ხალხი?

ქობალოსების სახელით — რევაზ ლომიძე



— ეტყობა, ინკუბატორისაა, თორავ მავათი დაკ-
ლისთვის კრუსი თვალეხს ამოგორტნიდა!

ეროვნული
ბიბლიოთეკა
ნ.ბ. ბ. ფირცვალიანი



უსიტყვოდ



ნ.ბ. ბ. შაინაშვილისა



უსიტყვოდ

ნ.ბ. ბ. ბაღოშვილისა

ნაჩიღების კვადრაკვა

ვარკაითილის მასივის მცხოვრებნი რედაქციაში გამოგზავნილ წერილში ითხოვდნენ მეტრო „სამგორის“ მინისქვეშა გადასასვლელის განათების მოწესრიგებასა და კაპიტალური შეკეთების დროულად დამთავრებას.

ამასთან დაკავშირებით, თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომიდან რედაქციას აცნობეს, რომ მეტროს სადგურ „სამგორის“ ელექტროგაყვანილობა უკვე მოწესრიგებულია, მინისქვეშა გადასასვლელის კაპიტალური შეკეთება კი მიმდინარე წლის პირველ ნახევარში დამთავრდება.

გორის რაიონის სოფელ საქაშეთიდან რედაქციაში გამოგზავნილ წერილში აღნიშნული იყო, რომ ვარიანის-საქაშეთის გზა ავარიულ მდგომარეობაშია. მოუწესრიგებელია ვარიანის რკინიგზის ბაქანი.

გორის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომიდან, სადაც წერილი შესასწავლად და ზომების მისაღებად გადაიგზავნა, რედაქციას შეატყობინეს, რომ მასში მოყვანილი ფაქტები სწორია. მდგომარეობის გამოსასწორებლად მიღებულია ზომები: მოიხრევა საქაშეთი-ვარიანის გზა, რეკონსტრუქცია გაუკეთდა რკინიგზის ვარიანის ბაქანს.

ჭიათურის რაიონის სოფელ მანდაეთში, გელაშვილების უბანში, დაიწყეს ავტობუსის მოსაცდელის მშენებლობა, მაგრამ მალევე დაუმთავრებელი მიატოვეს! — სწერდნენ რედაქციას.

ჭიათურის სახალხო დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომიდან შეგვატყობინეს, რომ აღნიშნული ფაქტი სინამდვილეა.

ამჟამად მოსაცდელის მშენებლობა განახლებულია და იგი მიმდინარე წლის მე-3 კვარტალში დამთავრდება.

ხაშურის რაიონის სოფელ ტეზერში შემავალი ცენტრალური გზა შესაკეთებელია! — სწერდნენ რედაქციას.

ხაშურის სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომიდან რედაქციას აცნობეს, რომ სოფელ ტეზერის ცენტრალური გზა უკვე შეაკეთა აღმასკომის სანარმოო-საგზაო უბანმა.

82-515



1381

„... უაზროა ყოველგვარი ვარაუდი, რომ მუქარის, ეკონომიკური ბლოკადისა თუ საომარი აგრესიის საშუალებით ხელი შეუშალოს სოციალისტური ქვეყნების განვითარებას... მაგრამ, როგორც ჩანს, ისტორიის გაკვეთილი ყველამ ვერ შეიგნო.“

გაზეთებიდან

ჭკუა ვერ ისწავლეს!



საბჭოთა ქვეყნების
 მუხრანული „ნიაგოი“
 № 14 (1600) ივლისი
 ბათუმის 1923 წ. ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი
 ზაურ გოლგოზაძე

სარედაქციო
 კოლეგია:
 შაჰა ამირჯანი, ნოზალი ბარბაქაძე,
 გიორგი გუგუშვილი, ნოდარ ლომიძე,
 რეზა თვარაძე, ჯემალ ლომიძე,
 ნოდარ მალაზონია (მხატვარი-რედაქტორი),
 გიორგი სინბრულიძე (მასუბისმგებელი მდივანი),
 ალექსანდრე სახლიანი, გიგლა ფირცხალავა,
 ჯანსუღ ჩარბიანი, თამაზ წიგვიანი,
 ვაჟა ზანიშვილი (მთავარი რედ. მოადგილე),
 ნაფი ჯუსუიტი.

ტექნიკური რედაქტორი
 მიხეილ კუზალაშვილი

გადაცვა ასაწყობად
 23. 6. 81 წ.
 ხელმოწერილია დასაბეჭდად
 31. 7. 81 წ.
 ძალადის ზომა 70x108 1/8
 ფიზიკური ნაბეჭდი
 ფურცელი 1
 სააღრიცხვო-საბათმედიო
 თაბახი 1,7
 საქართველოს კვ ცკ-ის
 გამოცემლობა
 ლენინის ქ. № 14,
 შეკვეთა № 1743. უმ 00536
 ტირაჟი 150.950.
 ჟურნალი გამოსდის
 თვეში ორჯერ.
 რედაქციაში შემოსული
 მასალები ავტორებს
 არ უბრუნდებათ.

ჩვენნი მისამართი:
 380003, თბილისი-3, რუსთაველის
 პროსპექტი, № 42.
 ტელეფონები: მთავარი
 რედაქტორის — 93-62-04, მთ.
 რედ. მოადგილის — 93-19-42,
 პ/მგ მდივნის — 93-19-70, მხატვარი-რედაქტორის — 99-02-38,
 განყოფილება-თა განგებ. — 93-49-02, რედაქტორ-ლიტმუშავე-
 ბის — 99-02-38, ძლივანი-მეგან-
 ქანის — 79-76-69.

Сат. рико-и мср. етнический
 журнал «Н И А Г И»
 (На грузинском языке)
 Тбилиси, пр. Руставели 42.
 Издательство ЦК КП Грузии
 Типография Издательства ЦК
 КП Грузии, Тбилиси, улица
 Ленина 14.
 Факс № 23 030
 ISBN 978-9953-7-1137-1